თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2015 წლის 14 დეკემბერის სხდომის ოქმი #13

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 26, სტუდენტები – 6, სულ –32 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.
   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. 2010 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2016–2017 სასწავლო წლისათვის ანკეტა–კითხვარის დამტკიცების შესახებ.
   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თ. ბერიძე/

4. ასისტენტ-პროფესორ ლელა ჯამაგიძის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ.
   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

5. მიმდინარე საკითხები

სხდომის თვმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 22 ოქტომბრის #13 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილების და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, 1978 წელს თსუ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (დღე, საღამო) სპეციალობისა და 2005 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის სხვადასხვა სპეციალობების კურსდამთავრე-ბულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებებით მომართეს ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის 1978 წლის კურსდამთავრებულმა **ჯამბულ ვალიკოს ძე ზარანდიამ** და ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთავრებულ **გვარამ ხანდამიშვილმა.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯამბულ ზარანდიას და გვარამ ხანდამიშვილის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი

უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას:

1. **ჯამბული ვალიკოს ძე ზარანდია** 1973 წელს ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის სწავლების საქონელმცოდნეობის და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №625, 25.08.1973).

   ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1978 წლის ივნისის (უთარიღო) სხდომის გადაწყვეტილებით (№11) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/353, 5.07.1978) დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ჯამბული ვალიკოს ძე ზარანდიას მიენიჭა კვალიფიკაცია უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე, სპეციალობით საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია.

   თსუ არქივმა ფაკულტეტს, მოთხოვნის საფუძველზე, დამატებით გადმოსცა 1978 წელს ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე ხუთი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში წარმოებული სხდომის 15 ოქმი. მათგან 9 ოქმზე დაფიქსირებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი) და ოქმის ნომერი, 3 ოქმზე დაფიქსირებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ჩატარების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) და არ აქვს მინიჭებული ნომერი, ხოლო რაც შეეხება დაჩენილ 3 ოქმს, მათ მინიჭებული აქვთ ნომერი და თარიღში დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების წელი და თვე.

   პირველი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი კალანდარიშვილი; წევრები: ი. მუჯირი, მ. ჩარექიშვილი, გ. ნადირაშვილი, თ. ჯაში, შ. ხაჭაპურიძე)* მიერ 1978 წლის ივნისში წარმოებულია 3 ოქმი, სამივე ოქმს ნომრად მინიჭებული აქვს №11, ხოლო მათზე არ არის დაფიქსირებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი (რიცხვი).

   მეორე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე. კომახიძე; წევრები: გ. მიქალაძე, შ. გველესიანი, შ. ჩოგოვაძე, თ. ცინცაძე)* მიერ 1978 წლის 26 ივნისს წარმოებულ სამივე ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და მინიჭებული აქვს ნომერი (№8).

   მესამე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: გ. ყუფუნია; წევრები: მ. ღაღანიძე, ასკალონ ლომიძე, ზიგფრიდ გრიგოლაშვილი, ესტატე ბოლოკაძე)* მიერ 1978

წლის 28 ივნისს წარმოებულ სამივე ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი, მაგრამ არ აქვს მინიჭებული ნომრები.

მეოთხე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ი.გ.ბურდული; წევრები: მ.ი.ღაღანიძე, გ.ზ.ბერკაცაშვილი; ა.გ.რეხვიაშვილი; ა.ნ.ლაშხია)* მიერ 1978 წლის 23 ივნისს წარმოებულ ორივე ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და მინიჭებული აქვს ნომერი (№7).

მეხუთე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: გ. ყუფუნია; წევრები: მ.ღაღანიძე, ი.მუჯირი, შ. გველესიანი, ა. ლომიძე, ა.რეხვიაშვილი, ზ.გრიგოლაშვილი, გ.ბერკაცაშვილი, თ.ჯაში)* მიერ 1978 წლის 28 სექტემბერს წარმოებულ ოთხივე ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და მინიჭებული აქვს ნომერი (№8).

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამჟამად, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ პირველი კომისიის მიერ წარმოებულ უთარიღო ოქმებს. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოიძია 1978 წლის კალენდარი და განიხილა ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები. როგორც წარმოდგენილ ოქმებიდან ჩანს, 1978 წლის ივნისის თვეში სხდომები ჩატარდა 23 ივნისს (დღე - პარასკევი), 26 ივნისს (დღე - ორშაბათი) და 28 ივნისს (დღე - ოთხშაბათი). მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველმა კომისიამ სხდომა ჩაატარა 27 ივნისს (დღე - სამშაბათი).

2. **გვარამ გურამის ძე ხანდამიშვილი** 2003 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბიუჯეტო სექტორის მაგისტრატურის I კურსზე სპეციალობით სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში.

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) სასაქონლო ექსპერტიზა და საბაჟო სამსახურში სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ გვარამ ხანდამიშვილს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საფუძველზე მიენიჭა <u>ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი საბაჟო სამსახურში სასურსათო პროდუქციის ექსპერტის კვალიფიკაციით</u>, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/622, 8.07.2005) - <u>ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საბაჟო სამსახურში სასურსათო პროდუქციის ექსპერტის კვალიფიკაციით</u>.

გვარამ ხანდამიშვილის სახელზე გაცემულ მაგისტრის დიპლომში (MN№000460, სარეგისტრაციო №01/1856) აღნიშნულია, რომ **„გვარამ ხანდამიშვილი 2003 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთვარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის სრული კურსი სპეციალობით სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში. საატესტაციო კომისიის 2005 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით**

მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და საბაჟო სამსახურში სასურსათო პროდუქციის ექსპერტის კვალიფიკაცია“.

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/622, 8.07.2005) მინიჭებული ხარისხი და გვარამ ხანდამიშვილის სახელზე გაცემულ მაგისტრის დიპლომში მითითებული მაგისტრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე და 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გვარამ ხანდამიშვილს **„ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი“.**

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილთან ერთად წარმოადგინა არქივიდან მიღებული დოკუმენტაცია. კერძოდ, 2005 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მიერ წარმოებული საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის 21 ოქმი. წარმოდგენილი ოქმებიდან ირკვევა, რომ 2005 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე მაგისტრატურის სხვადასხვა სპეციალობებში მოქმედებდა ერთი საატესტაციო კომისია *(კომისიის თავმჯდომარე: ვანო ჩხარტიშვილი; წევრები: ეკა სეფაშვილი, ლელა კოჭლამაზაშვილი, ანზორ ლაშხია, მურმან ტოგონიძე, ესტატე ბოლოკაძე, გაიოზ ნადირაშვილი, ნუგზარ თოდუა, მზია წულუკიძე და კომისიის მდივანი: თინათინ ჯაში)* და მათ მიერ წარმოებულ ოქმებზე დაფიქსირებულია სხდომის ჩატარების თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი. კომისიამ იმსჯელა და განახორციელა უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1978 წელს ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (დღე, დაუსწრებელი) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული

ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის (V კურსის) კურსდამთავრებულთათვის **(მ.შ. ზარანდია ჯამბული ვალიკოს ძე)** „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1978 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1978 წლის 27 ივნისი, ხოლო ოქმის ნომერი დარჩეს უცვლელი (№11);***
- ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის ***საღამოს განყოფილების საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის (V კურსის) კურსდამთავრებულთათვის „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1978 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1978 წლის 27 ივნისი, ხოლო ოქმის ნომერი დარჩეს უცვლელი (№11);***
- ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების საქონელმცოდნეობა სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის (IV კურსის) კურსდამთავრებულთათვის „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1978 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1978 წლის 27 ივნისი, ხოლო ოქმის ნომერი დარჩეს უცვლელი (№11);***

1.2. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის მიერ პირველი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: კალანდარიშვილი ირაკლი; წევრები: ი.მუჯირი, მ.ჩარექიშვილი, გ.ნადირაშვილი, თ.ჯაში, შ.ხაჭაპურიძე)* მიერ 1978 წლის ივნისის თვეში წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის (№11) ოქმებში *(იხ. 1978 წლის ვნისის თვეში ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2.1.1. ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში (12.01 - სამრეწველო; 12.02 - სასურსათო) სპეციალობაში საატესტაციო კომისიის 2005 წლის 25 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მინიჭებული ხარისხი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/622 ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან. ე.ი. კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის სასაქონლო ექსპერტიზა

საბაჟო სამსახურში სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ გვარამ ხანდამიშვილს **„ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი“;**

2.1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს აღნიშნულ ოქმში (იხ. *კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში სპეციალობაში საატესტაციო კომისიის 2005 წლის 25 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი (უნომრო) და თსუ რექტორის ბრძანება №4/622, 8.07.2005)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში;

2.2.1. აღდგენილად ჩაითვალოს 2005 წელს თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სასტესტაციო კომისიის მიერ შემაჯამებელ სხდომებზე ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***ანტიკრიზისული საქონლის ექსპერტიზა და საქონელმცოდნეობა საერთაშორისო ვაჭრობის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ანტიკვარული საქონლის საქონელმცოდნე-ექსპერტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№1/3***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ექსპერტიზა საგარეო ვაჭრობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „სამრეწველო პროდუქციის ექსპერტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***წარმოების მარკეტინგის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „მარკეტოლოგის“ კვალიფიკაციით ***(ეკონომიკის) მარკეტოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№3/3***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის და ხარისხის მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მენეჯერის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის

შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№4/ბ***;

- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***საერთაშორისო მარკეტინგი და საგარეო კომერციული ურთიერთობების*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „მარკეტოლოგის“ კვალიფიკაციით ***(ეკონომიკის) მარკეტოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№5/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***საბირჟო საქმის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „საბირჟო საქმის სპეციალისტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№6/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***მარკეტინგის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „მარკეტოლოგის“ კვალიფიკაციით ***(ეკონომიკის) მარკეტინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№7/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „საგარეო ვაჭრობის ორგანიზატორის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№8/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***საქონელმიმოქცევის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „საქონელმიმოქცევის ეკონომისტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№9/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***მცენარეული საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობის და ექსპერტიზის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „მცენარეული საკვები პროდუქტების ექსპერტ-კომერსანტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№10/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***ცხოველური საკვები პროდუქტების სასაქონლო ექსპერტიზისა და კომერციის*** სპეციალობის

კურსდამთავრებულთათვის „ცხოველური საკვები პროდუქტების ექსპერტ-კომერსანტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№11/ბ***;

- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში (01. სამრეწველო ექსპერიზა საბაჟო სამსახურში და 02. სასურსათო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში)*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის (**მ.შ. გვარამ ხანდამიშვილი**) „საბაჟო სამსახურში სამრეწველო/სასურსათო პროდუქციის ექსპერტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№12/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***კომერციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „კომერსანტ-ეკონომისტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№13/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპერტიზისა და ბიზნესის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპერტ-კომერსანტის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№14/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***რეკლამა კომერციულ საქმიანობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „რეკლამის მენეჯერის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№15/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***ტურიზმის ბიზნესის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ტურიზმის მენეჯერის“ კვალიფიკაციით ***ტურიზმის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№16/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***ტურიზმისა და სასტუმრო მეურნეობის კომერციული საქმიანობის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ტურიზმის მენეჯერის“ კვალიფიკაციით ***ტურიზმის მეცნიერებათა მაგისტრის***

აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№17/ბ***;

- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ტურიზმის მენეჯერის“ კვალიფიკაციით ***ტურიზმის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№18/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***მომსახურების მარკეტინგის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „მარკეტოლოგის“ კვალიფიკაციით ***მარკეტოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№19/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***სტუმართმიღების ინდუსტრიის მარკეტინგის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „მარკეტოლოგის“ კვალიფიკაციით ***მარკეტინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№20/ბ***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ***სასურსათო პროდუქტების სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის და ხარისხის მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „სასურსათო პროდუქტების ხარისხის მენეჯერის“ კვალიფიკაციით ***ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 25 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№21/ბ***.

2.2.2. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მიერ 2005 წლის 25 ივნისს წარმოებული საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში *(იხ. 2005 წლის 25 ივნისის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: 2010 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის, ლალი ჩიკვილაძის სამსახურეობრივი ბარათი #7338/29, 01.12.15. მასში აღნიშნულია, რომ ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2010 წლის კურსდამთავრებულს გიორგი ჭოლოკავას მიენიჭა ,,ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სპეციალობით (ბრძ. # 01–13/83 08.11.2010).

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას და გიორგი ჭოლოკავას ნაცვლად მინიჭებული ,,ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხისა, (მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სპეციალობით), უნდა მიენიჭოს ,, ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2010 წლის კურსდამთავრებულს გიორგი ჭოლოკავას, ნაცვლად მინიჭებული ,,ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხისა, (მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სპეციალობით), მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2010 წლის ყველა კურსდამთავრებულზე.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2016–2017 სასწავლო წლისათვის ანკეტა–კითხვარის დამტკიცების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თ. ბერიძე/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე კონსულტაციები ბოლო წუთამდე გრძელდებოდა. მან მოხსენებიდან გამოკვეთა ორი საკითხი: 1. მისაღები კონტინგენტის შემცირების მიზეზები, რომელმაც გამოიწვია ცვლილებები; 2. ის გზები, რომლითაც შეიძლება იმ კონტინგენტის შევსება, რომელიც იქნება შემცირებული.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტების რაოდენობამ გადააჭარბა იმ კვოტას, რაც წლების წინ იქნა წარდგენილი - განისაზღვრა ყოველწლიურად 21 000 აქტიური სტუდენტი. სტუდენტს შეუძლია 5 წლის განმავლობაში ჰქონდეს სტატუსი ,,შეჩერებული". ძნელია იმის გაანგარიშება, თუ რამდენი მათგანი გააქტიურდება და აღიდგენს სტუდენტის სტატუსს. ეს კი ართულებს აქტიური სტუდენტების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრას. ასევე მნიშვნელოვანია დამატებითი სემესტრის სტუდენტების რეგისტრაციის ვადების დარღვევა, რომელიც კიდევ უფრო ზრდის აქტიური სტუდენტების რაოდენობას. სტუდენტები განგებ იტოვებენ საგნებს, რათა არ მოხდეს მათი გაწვევა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ასეთი სტუდენტები ხელოვნურად ზრდიან უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტების რაოდენობას.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მიმდინარეობდა მწვავე დისკუსიები და ფაკულტეტებს შორის ადგილების გადანაწილება. ფაკულტეტისთვის შემოთავაზებული თავდაპირველი კვოტა იყო 600 ადგილი, შემდგომ ეს გახდა 640, მოგვიანებით 655, ახლა კი არის 700.

მომხსენებელმა, სხდომის თავმჯდომარემ თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა 2016-2017 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ახალი ანკეტა–კითხვარი.

2016-2017 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- *აკადემიური პროგრამა ,,ეკონომიკა" – 400 ადგილი (უზრუნველყოფილია სახელმწიფო გრანტით - 4000 ლარი ერთ სტუდენტზე);*
- *აკადემიური პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება" – 280 ადგილი;*
- *აკადემიური პროგრამა ,,ტურიზმი" – 20 ადგილი.*

ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზანია ის, რომ უნივერსიტეტმა მიიღოს აკრედიტაცია.

მომხსენებელი, სხდომის თავმჯდომარე თ. ბერიძე გადავიდა მეორე საკითხზე - რითი შეიძლება ფაკულტეტზე შემცირებული ადგილების რეაბილიტაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით გაიზრდება შიდა და გარე მობილობის ადგილების რაოდენობა. 2015 წელს ფაკულტეტზე მობილობით გადმოვიდა სულ 188 სტუდენტი. გასულ წელს შიდა მობილობაზე გამოცხადდა 90 ადგილი. ეს არ არის უნივერსალური ინსტრუმენტი რეაბილიტაციისთვის, მაგრამ როგორც წინა წლებმა გვიჩვენა, ეს საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტია. ფაკულტეტზე მოდულის საგნებში სალექციო ნაკადები გაიხსნება 50 სტუდენტზე და არა 100 სტუდენტზე. მიმდინარე წელს ფაკულტეტის კონტინგენტს დაემატება აზერბაიჯანელი, სომეხი, აფხაზი და ოსი სტუდენტების რაოდენობა. ყველაზე მეტი წილი თსუ ფაკულტეტებს შორის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წილად მოდის, მაგალითად 180 კანდიდატიდან 70-80 კანდიდატი ეკონომიკისა დაბიზნესის ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველია. კონტინგენტს ემატება ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობაც - უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ის მზად არის უპასუხოს კრიტიკულ პოზიციას. მან საბჭოს წევრებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ აღნიშნული დოკუმენტის მიღებას.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ე. ხარაიშვილმა, პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. თ. შენგელიამ, პროფ. ი. კოვზანაძემ, ასოც. პროფ. ა. ჩუთლაშვილმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა, ასოც. პროფ. ჩ. ჯაშმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - მან აღნიშნა, რომ სტუდენტები, რომლებიც არ არიან აქტიურები, იკავებენ იმ ადგილებს, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან. მან დეკანს დაუსვა 2 შეკითხვა: 1. რა კეთდება იმისათვის, რომ ეს მიზეზები აღმოიფხვრას? პროფესორების ხელფასები, განსხვავებით ადმინისტრაციის ხელფასებისა, მიბმულია სტუდენტების რაოდენობაზე. ამიტომ იქმნება პარადოქსული სიტუაცია - ის, ვინც ამაზე ხმა უნდა ამოიღოს და რამე შეცვალოს, ამით არ არის დაინტერესებული, ხოლო ის, ვინც დაინტერესებულია (პროფესორები), მათ აქ სიტყვა არ ეთქმის. 2. უმეტეს შემთხვევაში სტატუსის შეჩერება ხდება გადახდის უუნარიობის გამო და ამიტომაც გვყავს ამდენი სტატუსშეჩერებული სტუდენტი, უმეტესობა (თითქმის 100%) არის ბიზნესის მიმართულებიდან. ფაკულტეტს სჭირდება გარანტირებული სტუდენტები - ანუ რომელსაც აფინანსებს სახელმწიფო. ამიტომ უცნაურია ის, რომ გარანტირებული

სტუდენტების რაოდენობა მცირდება (მაგ. ტურიზმი), ის, რაც დაფინანსებულია გრანტით. ამიტომ ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და სასურველია კონტინგენტი განისაზღვროს 50 ადგილით.

პროფ. ქ. მარშავა - მან აღნიშნა, რომ წინა წელს ამ საკითხზე მსჯელობა ხმაურიანი იყო. ფაკულტეტზე დაახლოებით 4500 სტუდენტია და დღეს რომ ყველა მოვიდეს უნივერსიტეტში, დასადგომი ადგილიც კი არ იქნება. ეს გადაწყვეტილება ფართზეა მიბმული. სხვა უნივერსიტეტების შემოერთების მერე გაიზარდა ადგილები. ამჟამად 15 მილიონზე მეტია ფაკულტეტის შემოსავალი. არაგონივრულია უარი ითქვას 4000 ლარიან დაფინანსებაზე (1 სტუდენტზე). მოსაფიქრებელია ის, თუ რა რეზერვები არსებობს. გამოსავალი შეიძლება იყოს ეკონომიკის მიმართულებაზე მობილობაზე უარის თქმა. გარდა ამისა, აკადემიურმა საბჭომ მიიღო პროფესურის დატვირთვის ახალი ვერსია, სადაც 2017 წლიდან ყურადღება გამახვილდება სამეცნიერო მუშაობაზე, ამიტომ მოსალოდნელია, რომ თითოეულ პროფესორს, მიუხედავად გრადაციისა, ექნება დატვირთვა სავარაუდოდ 8 საათი. ჩვენი მიზანია კოლეგები შევინარჩუნოთ და არ იქონიოს ამან ხელფასებზე გავლენა.

პროფ. ი. კოვზანაძე - მან აღნიშნა, რომ მისი კათედრისთვის ეს ნაკლებად მტკივნეულია, რადგან საკმარისი რაოდენობის სტუდენტები ჰყავთ. მაგისტრატურის მთელი საფაკულტეტო დატვირთვის 30% მოდის ფინანსების კათედრაზე. ტენდენცია არის ისეთი, რომ 2013 წლიდან ადგილების რაოდენობა ბიზნესის მიმართულებაზე თითქმის 40%-ით შემცირდა. გასაგებია, რომ ამას აქვს ფინანსური ახსნა, მაგრამ ეს რამდენად სწორია? მოთხოვნა ამ სპეციალობებზე იზრდება. ტურიზმის მიმართულება შესანარჩუნებელია და თუ კვალიფიციურად იქნება სწავლება, მოთხოვნა შენარჩუნდება. მიუხედავად იმისა, რომ აქ შემოთავაზებულ ვარიანტს ფინანსური ახსნა აქვს, ადგილები უნდა იყოს ტოლად გადანაწილებული. ჩვენი ამოცანაა დაცული იყოს პარიტეტი და მოხდეს სინქორონიზაცია.

ასოც. პროფ. ა. ჩუთლაშვილი - მან აღნიშნა, რომ 2011 წლიდან თსუ-ს შეუერთდა 2 უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც მოჰყვა თავისი ფართი. გადასათვლელია ის ფართი, რომელიც შესაძლოა გამოიყენოს ფაკულტეტმა (არის შენობა ავლაბარში, რუსთავში, თელეთში და შესაძლოა მისი გამოყენება). საჭიროა იქ განხორციელდეს პროგრამები და ეს მოსაფიქრებელია.

პროფ. თ. შენგელია - მან აღნიშნა: ,,ჩემთვის გაუგებარია, როგორ ხდება ის, რომ 21000 სტუდენტის ნაცვლად უცბათ წარმოიშვა 22 000. ამ პრობლემას აქვს 2 ასპექტი: 1. სახელმწიფოებრივი ასპექტი; 2. ფაკულტეტის ინტერესები. საქმე იმაში გახლავთ, რომ დამტკიცდა ბიუჯეტის პარამეტრები, მათ შორის განათლების სამინისტროს დაფინანსება იზრდება. მაგრამ ხდება ბიუჯეტის მუხლების რესტრუქტურიზაცია. მოიძებნა ფორმა, რომ ბიუჯეტით დაფინანსებული სტუდენტების კონტინგენტი

უნდა შემცირდეს და ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოვიდა იმ უნივერსიტეტებზე, რომლებიც წარმოადგნენე ფლაგმანს ამ დარგში - ტექნიკურ უნივერსიტეტზე და თსუ-ზე. ამდენად არსებობს მოცემულობა, რომელსაც ჩვენ ვერ გადავუხვევთ. ამ მოცემულობის ჩარჩოებში ჩვენ უნდა გავკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ თანაბარზომიერად და რაციონალურად განვითარდეს ფაკულტეტი და მისი მიმართულებები. ეს არის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და არ შეიძლება ერთ მიმართულებას მივცეთ პრიორიტეტი. ეკონომიკის მიმართულება რომ არ ჩაძირულიყო, გადაიყვანეს დაფინანსებაზე, მაშინ როდესაც ბიზნესის მიმართულებაზე საზოგადოების შეკვეთა იზრდება, კონტინგენტი კი ყოველწლიურად მცირდება. ის რაც დეკანმა თქვა - მობილობის წესით სტუდენტების გადმოყვანა - ეს მისაღებია, მაგრამ მობილობის წესით სტუდენტების გადმოყვანას აქვს თავისი წესი: საერთო კონტინგენტის ჩარჩოებში სამინისტორო არ დაგვამატებინებს ერთ სტუდენტსაც კი. რჩება გამოსავალი - ე.წ. ,,მკვდარი სულებისგან“ გაცხრილვა.“

პროფ. თ შენგელიამ ბოლოს აღნიშნა, რომ სამართლიანობის პრინციპების დაცვა ზოგადი ღირებულებების განმტკიცებისათვის არის აუცილებელი. მან კოლეგებს შესთავაზა ამ ეტაპზე პროპორციულად მოხდეს შემცირება ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის მიმართულებაზე. ,,თუ ეს ასე არ მოხდა, ჩვენ ყოველ წელს ერთი ნაკადით დავზარალდებით პირველ კურსზე. ეს არის პროფესორის 2 შტატზე მეტი. ამ ეტაპზე ეს ძალიან არ გვაზარალებს საათობრივი კონტინგენტის ხარჯზე. მეორე, მესამე და მეოთხე წელს, როდესაც დაიწყება მოდულებზე საუბარი, ეს გამოიწვევს უარყოფით ტენდენციებს - არ იქნება საათები და ეს იმოქმედებს კონკურსში საშტატო ერთეულებზე. უნდა არსებობდეს ზუსტი სტატისტიკა, რათა განისაზღვროს სტუდენტების ზუსტი რაოდენობა. გამოსავალი არის ზომას გადასული ადმინისტრაციული აპარატის შემცირება, რომელიც ფუნქციას ეძებს უნივერსიტეტის (და არა ფაკულტეტის) ადმინისტრაციაში. პროფესორთა რაოდენობა გაცილებით ცოტა იყო და ახლა გაზრდილია. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მობილობით გადმოსული სტუდენტების აკადემიური დონე არის ძალიან დაბალი, ხოლო კონკურსგავლილი სტუდენტების დონე არის მაღალი. სტუდენტების დიდი ნაწილი არ დადის ლექციებზე. აზერბაიჯანელების ფაკულტეტზე სწავლა არის პოლიტიკის ნაწილი, მაგრამ მათ არ იციან წერა-კითხვა და ლაპარაკი ქართულად. პრობლემები დაგროვდა და ეს არის საერთო პრობლემები.“

პროფ. ნ. თოდუა - მან აღნიშნა, რომ ამ წელსაც ხდება იგივე, ისევე როგორც წინა წელს. მან დასვა კითხვა: თუ საჭიროა სტუდენტთა რაოდენობის შემცირება, მაშინ რატომ ვღებულობთ დოქტორანტების გაზრდილ რაოდენობას? გაუგებარია, რატომ ვერ დაიანგარიშა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა სტუდენტთა ზუსტი რაოდენობები? ის, რომ სტუდენტთა რაოდენობა უნდა შემცირდეს, ეს გადაწყვეტილია, მაგრამ ფაკულტეტის შიგნით თანაფარდობა არის ფაკულტეტის საბჭოს გადასაწყვეტი.

შარშან ბიზნესი შემცირდა და ეკონომიკა დარჩა იგივე. წელს უნდა შემცირდეს ეკონომიკა და არა ბიზნესი. ,,ჩემთვის არ არის არგუმენტი ეკონომიკის დაფინანსების არსებობა. გაუგებარია, რატომ აფინანსებს ეკონომიკის მიმართულებას სახელმწიფო? ფაკულტეტი ვინაიდან ერთი ორგანიზმია, შემცირება უნდა მოხდეს თანაბრად."

ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი - მან აღნიშნა, რომ იყო მეტად ნაყოფიერი შეხვედრები იყო ქ-ნ დ. თვალთვაძესთან. როგორც ამ შეხვედრებზე გამოიკვეთა, მოხდება ცვლილებები სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებით. ძნელია 5 წელი სტუდენტს სტატუსი ჰქონდეს შეჩერებული, შემდეგ დარეგისტრირდეს 1-2 საგანზე და ამავე დროს მოხდეს ამ სტუდენტთა რაოდენობის წინასწარ გათვლა. მან აღნიშნა, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების 100% არის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებიდან. შესაძლებელია გაიზადროს ამ მიმართლების მობილობის ადგილები.

პროფ. ს. გელაშვილი - მან აღნიშნა, რომ დღევანდელი მდგომარეობით ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაზე სტუდენტთა რიცხოვნობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეკონომიკაზე.

ასოც. პროფ. ჩ. ჯაში - მან აღნიშნა, რომ იზიარებს პროფ. ნ. თოდუას მოსაზრებას. ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფოში ხშირად იცვლება. მთავარი არის მოთხოვნა კადრებზე. ,,გულდასაწყვეტია ის, რომ ერთმა ადამიანმაც კი ეკონომიკის მიმართულებიდან, არ გამოხატა თანადგომა. არის ტენდენცია, რომ შეიძლება შეიქმნას სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და თუ დინამიკა არის შემცირების, ეს არც ეკონომისტებისთვის არის ხელსაყრელი."

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე - მან აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება ბიზნესის ადმინიტრირების მიმართულების პროფესორების მიერ გამოთქმულ აზრს. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების კადრები გაცილებით საჭიროა, ვიდრე ეკონომიკის. მან დასვა შეკითხა: შესაძლებელია თუ არა ეკონომიკის მიმართულებიდან ბიზნესის ადმინისტრირებაზე სტუდენტების გადაყვანა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ გრანტის გადატანა შეუძლებელია.

პროფ. ე. ხარაიშვილი - მან აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ფაკულტეტზე შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დეკემბრის ან იანვრის თვეში გააკეთებს დასაბუთებულ წერილს იმის შესახებ, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების ვადა (5 წლიანი) შემცირდეს და დავიდეს 12 სემესტრზე, ასევე გამკაცრდეს სტუდენტთა რეგისტრაცია. საჭიროა ჩვენ წერილით მივმართოთ აკადემიურ საბჭოს, რათა ეს მოხდეს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით. საჭიროა მარეგულირებელ წესში დაშვებული ამ კატასტროფული შეცდომის დროულად გამოსწორება. როგორც კი ბაზები გაიწმინდება, კვლად დაისმება საკითხი კონტინგენტის გაზრდის შესახებ და

მოხდება ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტთა რაოდენობის ზრდა, მანამ სანამ არ იქნება დაცული პარიტეტი.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - მან დასვა შეკითხვა: ვინ უნდა დათვალოს და რატომ არ თვლის, რომ თავის დროზე შეგვატყობინოს ეს ინფორმაცია? მან უპასუხა პროფ. ა. ჩუთლაშვილის კითვას, კერძოდ ის, რომ კვოტა გამოიყოფა საუნივერსიტეტო ქონების და არა ფაკულტეტის ფართის მიხედვით.

პროფ. ი.მესხია - მან აღნიშნა, რომ საჭიროა ფაკულტეტს დაერქვას ეკონომიკის ფაკულტეტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები. საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ შეაჯამა სხვადასხვა თვალსაზრისები და პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებს. მან აღნიშნა, რომ საჭიროა დაიწყოს მუშაობა რეგულაციის პრობლემაზე. მან აღნიშნა, რომ ის მომხრეა ტურიზმის მიმართულების განვითარების, რადგან ბიუჯეტის მიხედვით ის ქმნის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს და არის სახელმწიფოს პრიორიტეტი. მან საბჭოს წევრებს აღუთქვა, რომ აუცილებლად გაიზრდება ტურიზმის მიმართულებაზე ადგილების რაოდენობა, იმიტომ, რომ თუ 20 ადგილი იქნება, მაშინ გამოდის, რომ ის მილევად რეჟიმშია. რადგან ეკონომიკის მიმართულების სტუდენტს მოჰყვება გრანტი 4000 ლარის ოდენობით, ხოლო ბიზნესის მიმართულების სტუდენტს - 2250 ლარი, ეს იმას ნიშნავს, რომ რადგან ხელფასებს ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულების პროფესორები თანმდებობების მიხედვით იღებენ თანაბრად, გრანტის შემცირება ეკონომიკაზე ერთნაირად დააზარალებს ორივე მიმართულების პროფესორებს. მარტივი ეკონომიკური გათვლების საფუძველზე ლოგიკურია მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაზე ადგილების შემცირება. საჭიროა შეიქმნას საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა იმუშაოს აგრეთვე განათლების სამინისტროსთან, რათა მოხდეს აღნიშნული ცვლილებების ინიცირება.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს მოუწოდა ამ საკითხთან დაკავშირებით მხარდაჭერა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22;
წინააღმდეგი – 1;
კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 9.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს 2017-2017 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა–კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი);
2. ეთხოვოს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღნიშნული ანკეტა–კითხვარის დასამტკიცებლად.

მოისმინეს: ასისტენტ-პროფესორ ლელა ჯამაგიძის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

ქ–მა ნინო ფარესაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა ასისტენტ–პროფესორის ლ. ჯამაგიძის სამეცნიერო–შემოქმედებითი შვებულების შესახებ ინფორმაცია – ლ. ჯამაგიძემ მიიღო ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის (ფრანკფურტი; ოდერი) მიერ გამოცხადებულ კონკურსში სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია. მის მიერ წარდგენილმა კვლევითმა კონცეფციამ თემაზე ,,საზღვრები, ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფები და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში“ მოწონება დაიმსახურა და მიწვევა მიიღო აღნიშნული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან ,,B/order in motion”. იგი კვლევით პროექტზე იმუშავებს პროფ. იოჰენ კოჰთან ა. წ 14 დეკემბრიდან 2016 წლის 15 თებერვლამდე.

ქ–მა ნინო ფარესაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ წესდების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური პერსონალის უფლება აქვს პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ, აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 1 აკადემიური წლის შემდეგ, აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 10 თვის ვადით. 30-ე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური პერსონალი ვალდებულიამ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობას უწევს ასისტენტ-პროფესორს ლელა ჯამაგიძეს მიიღოს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის (ფრანკფურტი; ოდერი) სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ,,B/order in motion".

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე